

# ჰუდი გამრთიანებული სამეფოს ღინააღმდეგ

## HOOD v. THE UNITED KINGDOM

### I. საქმის ფაქტობრივი მხარე

7. მომჩივანი, დევიდ ჰუდი, არის ბრიტანეთის მოქალაქე, დაბადებული 1970 წელს. იგი ცხოვრობს გაერთიანებულ სამეფოში. ქვემოთ აღწერილი მოვლენების დროს, იგი მსახურობდა რიგითად ბრიტანეთის არმის რეგულარულ ჯარში.

8. საქმისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების განვითარებამდე, მომჩივანმა გერმანიაში სამჯერ თვითნებურად დატოვა თავისი სამხედრო ნაწილი. მესამე შემთხვევამდე, მას სამხედრო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა შეურაცხყოფისათვის (შემდგომში ბრალი მოეხსნა). მესამედ გამგზავრების შემდეგ, იგი ნაწილში არ გამოცხადდა თითქმის ორნახევარი წლის განმავლობაში, ხოლო, 1993 წლის დეკემბერში იგი ჩაბარდა სამოქალაქო პოლიციას.

A. მომჩივანის დაკავება და გასამართლება სამხედრო სასამართლოს მიერ

9. 1994 წლის 11 მაისს მომჩივანი ორგვირიანი შვებულების შემდეგ ნაწილში არ დაბრუნდა (მეოთხეჯერ უნგბართვოდ ნაწილის დატოვება). 1994 წლის 27 ნოემბერს იგი საკუთარ სახლთან დააკავა სამოქალაქო პოლიციამ. 1994 წლის 28 ნოემბერს სამხედრო ესკორტის თანხლებით იგი მიიყვანეს ბრომპტონის ყაზარმაში. ევროპის სასამართლოს წინაშე მხარეებმა სადავოდ მიიჩნიეს ის ფაქტი, წარუდგინეს თუ არა მომჩივანი მეთაურს 1994 წლის 29 ნოემბერს, როგორც ამას ითვალისწინებდა 1972 წლის სამხედრო შინაგანაწესის მე-4 წესი (იხ. პუნქტი 29 ქვემოთ).

10. მომჩივანი ჩაკეტილ პატიმრობაში იმყოფებოდა სამხედრო სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვამდე. იგი მოთავსებული იყო საკანში გუშაგის მეთვალყურეობის ქვეშ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც იგი რამდენჯერმე გადაიყვანეს საავადმყოფოში ფსიქიატრიული დახმარების აღმოსაჩენად.

11. 1994 წლის დეკემბერში ან მიახლოებით ამ პერიოდში მომჩივანს ეცნობა, რომ შობის დღესასწაულის შემდეგ მას წარადგენდნენ სამხედრო ნაწილის ადიუტანტის წინაშე. მან შობის დღესასწაულამდე დაიქირავა ადვოკატი, რომელიც მომსახურებას უწევდა 1995 წლის 17 იანვრამდე. 1995 წლის 4 იანვარს მომჩივანი წარდგა ნაწილის ადიუტანტის წინაშე. მას ზოგადად გააცნეს მტკიცებულებათა ჩამონათვალი, უთხრეს წაეკითხა ეს დოკუმენტი და შეემოწმებინა, იყო თუ არა იგი სწორი. მომჩივანს მისცეს გაფრთხილება სამხედრო შინაგანაწესის მე-10 წესის შესაბამისად (იხ. პუნქტი 32 ქვემოთ).

12. თავდაპირველი ადვოკატის რჩევისამებრ, მომჩივანმა მოამზადა თავისი ჩვენება და მისი მეგობარი გოგონასგანაც მოიპოვა იგი. ეს ჩვენებები შედგენილ იქნა შესაბამისად 1995 წლის 4 და 19 იანვარს. ამის შემდეგ სამხედრო სასამართლომ, რომელსაც თავმჯდომარეობდა მისი მეთაური, მომჩივანს შეუფარდა წინასწარი პატიმრობა. მომჩივანმა სამხედრო ხელისუფლების ორგანოებს სთხოვა იურიდიული დახმარების გაწევა. საბრალდებო დასკვნა, დათარიღებული 1995 წლის 25 იანვრით და ხელმოწერილი მეთაურის მიერ, რომელიც შედგენილი იყო სასამართლოს მომწვევი სამხედრო მოხელის სახელით, ითვალისწინებდა ორ ბრალდებას ნაწილის უნგბართვოდ დატოვებასთან დაკავშირებით და ორ დეზერტირობის ფაქტს, სამხედრო ძალების შესახებ 1955 წლის კანონის შესაბამისად.

13. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი მის ახალ დამცველს თებერვლის დასაწყისში დაუკავშირდა, ამ უკანასკნელმა მომჩივანის სასარგებლოდ მუშაობა დაიწყო მხოლოდ 1995 წლის 14 თებერვლის შემდგომ, როდესაც გამოიცა თავდაცვის სამინისტროს ბრძანება მომჩივანისთვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ.

14. 1995 წლის 17 მარტით დათარიღებული უწყებით, მოწვეულ იქნა საოლქო სამხედრო სასამართლო, რომელსაც უნდა განეხილა მომჩივანის წინააღმდეგ წაყენებული ბრალი. სხდომა ჩატარდა 1995 წლის 3 და 4 აპრილს. სხდომაზე სამხედრო პროკურორის თანაშემწედ გამოვიდა ნაწილის ადიუტანტი. მომჩივანმა, რომელიც სხდომაში მონაწილეობდა დაცველთან ერთად, თავი დამნაშავედ არ ცნო.

15. სამხედრო სასამართლოს სხდომაზე მომჩივანის ადვოკატმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ მომჩივანისა და მისი მეგობარი გოგონას ჩვენებები გამოყენებული იყო მტკიცებულებად (პოლიციისა და სისხლისსამართლებრივი მტკიცებულებების შესახებ 1984 წლის კანონის 78-ე მუხლის საფუძველზე). მოსამართლემ (მოისმინა რა სამხედრო ნაწილის ადიუტანტისა და მომჩივანის ადვოკატის სიტყვა) დაადგინა, რომ 1972 წლის სამხედრო შინაგანაწესის მე-10 მუხლი არ დარღვეულა. მომჩივანის იურიდიული წარმომადგენლობისა და დაცული პროცედურების გათვალისწინებით, მოსამართლემ აღნიშნა, რომ ის ვერ ხედავდა “შესაძლებელი იყო თუ არა კიდევ უფრო სამართლიანი მოპყრობა” და ამიტომ მან უარი თქვა მომჩივანის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მოსამართლემ სხდომის მსვლელობისას, ასევე განმარტა, რომ “შეგვიძლია დადასტურებულ ფაქტად მივიჩნიოთ, რომ ადიუტანტი ან ადიუტანტის თანაშემწე უფლებამოსილია გამოვიდეს პროკურორისა ან პროკურორის თანაშემწეს როლში ნებისმიერ სამხედრო სასამართლოში”. მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი ნაწილის თვითნებური დატოვების ორ ბრალდებასა და დეზერტირობის ერთ ბრალდებაში, დეზერტირობის დარჩენილი ერთი ბრალდება მიჩნეულ იქნა ერთ-ერთი “თვითნებური დატოვების” შემთხვევის ნაწილად. მას მიუსაჯეს 8 თვით თავისუფლების აღკვეთა და სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება. ჩაკეტილ პატიმრობაში ყოფნის პერიოდი ჩაითვალა სასჯელის ვადაში.

16. მსჯავრდების დადასტურებისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოქვეყნების შემდეგ, მომჩივანმა საჩივრით მიმართა სამხედრო კოლეგიას. 1995 წლის 13 ივლისის წერილით სამხედრო კოლეგიამ მას აცნობა, რომ საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამის შემდგომ მომჩივანმა დროებით გათავისუფლების შესახებ განცხადებით მიმართა სამხედრო სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს, რომელმაც 1995 წლის 13 სექტემბერს განცხადება არ დააკმაყოფილა. ეს გადაწყვეტილება 1996 წლის 18 მარტს ძალაში დატოვა სამხედრო სააპელაციო სასამართლოში.

#### B. წარმოება *habeas corpus*-ის საფუძველზე

17. მომჩივანის პატიმრობაში ყოფნის 72-ე დღე მიახლოებით დაემთხვა 1995 წლის 7 თებერვალს. ამიტომ, 1972 წლის სამხედრო შინაგანაწესის მე-6 წესისა და დედოფლის დადგენილების 6.045(c) პუნქტის თანახმად (იხ. პუნქტები 31 და 38 ქვემოთ), სხდომის მომწვევმა სასამართლო მოხელემ 1995 წლის 3 თებერვალს გამოიტანა დადგენილება, რომელსაც თან ერთვოდა უმაღლესი მთავარსარდლის თანხმობა, მომჩივანის პატიმრობის გახანგრძლივების შესახებ, რათა “თავიდან ყოფილიყო აცილებული მისი გაქცევა” სასამართლო სხდომამდე (ე.წ. “დაყოვნების პატაკი”).

18. მოითხოვა რა პატაკის ასლი და ხელისუფლების ორგანოებს განცხადა *habeas corpus*-ის საფუძველზე საჩივრის შეტანის სურვილის თაობაზე, მომჩივანის ადვოკატმა საჩივარი აღმრა 1995 წლის 17 თებერვალს, რომელშიც იგი ძირითადად ასაჩივრებდა პატაკის შედგენის კანონიერებას. მომჩივანის ადვოკატმა პატაკის ასლი მიიღო 1995 წლის 20 თებერვალს, რის შემდეგაც უმაღლეს სასამართლოში აღმრულ საქმეს ახალი განცხადები დაურთო.

19. 1995 წლის 21 თებერვალს უმაღლესმა სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა. სასამართლო დაადგინა, *inter alia*, რომ პატაკი დროულად და მოთხოვნათა დაცვით იყო შედგენილი.

#### II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა

20. ზემოთ აღწერილ მოვლენათა განვითარების მომენტში, სამხედრო მოსამსახურეთა დაკავებისა და მათ მიმართ სამართალწარმოების შესახებ ნორმები მოცემული იყო 1995 წლის კანონში შეიარაღებული ძალების შესახებ (შემდგომში “1955 წლის კანონი”), 1972 წლის სამხედრო

შინაგანაწესში (შემდგომში “1972 წლის შინაგანაწესი”) და 1975 წლის დედოფლის სამხედრო დადგენილებაში (შემდგომში “დედოფლის დადგენილება”).

21. სამხედრო სასამართლოს მიერ . მომჩივანის გასამართლების შემდეგ კანონმდებლობა შეიცვალა.

#### A. დაკავება

22. სამხედრო სამართლის ქვემდებარე პირის დაკავების თაობაზე ბრძანებას, რომელსაც ბრალი ედება დეზერტირობაში ან სამხედრო ნაწილის უნებართვოდ დატოვებაში, გამოსცემს ამ პირის უშუალო მეთაური. ბრძანება ეგზავნება სამოქალაქო პოლიციას. ბრძანების შესაბამისად დაკავებული პირი შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გადაეცეს სამხედრო ხელისუფლებას (1955 წლის კანონის 190A მუქწლი).

#### B. ბრალდებათა გამოძიება და დაპატიმრება

23. ამასთან დაკავშირებული წესი განსხვავდება იმის მიხედვით, ბრალდებული პირი სერუანტი, რიგითა თუ ოფიცერი. პირველ შემთხვევაში, (რომელიც ქვემოთ არის აღწერილი), უშუალო მეთაურის უფლებამოსილება გამოძიებისა და ბრალდების მხარდაჭერის საქმეში უფრო ფართოა.

#### 1. 1955 წლის კანონი

24. დეზერტირობა და ნაწილის თვითნებურად დატოვება დანაშაულადაა აღიარებული 1955 წლის კანონით. დეზერტირობა ისჯება განუსაზღვრული ვადით, (რაც დამოკიდებულია საქმის განმხილველი სამხედრო სასამართლოს უფლებამოსილებაზე), ხოლო, თვითნებური დატოვებისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არის ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

25. 1955 წლის კანონის 75-ე მუხლი ადგენს, რომ დაკავებული სამხედრო სამართლის ქვემდებარე პირის მიმართ არსებული ეჭვი გამოძიებულ უნდა იქნეს უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე და რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს სამართალწარმოება მის დასაჯელად ან ის უნდა გათვალისწინებული ამასთან, თუ დაკავების პერიოდი გრძელდება 8 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში სამხედრო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გარეშე, ამ პირის უშუალო მეთაური ადგენს პატაკს (“დაყოვნების პატაკი”) პატიმრობის გაგრძელების აუცილებლობის თაობაზე და უგზავნის კანონით განსაზღვრულ უწყებას. ასეთი პატაკი უნდა გაიგზავნოს ყოველ 8 დღეში იგივე წესით და იგივე უწყებას, სანამ არ გაიმართება სამხედრო სასამართლოს სხდომა, საქმე განხილული არ იქნება გამარტივებული წესით ან ბრალდებული არ გათავისუფლდება.

26. ყველა მტკიცება, რომ სამხედრო სამართლის ქვემდებარე პირმა ჩაიდინა 1955 წლის კანონით გათვალისწინებული დანაშაული, ბრალდების სახით უნდა ეცნობოს ამ პირის უშუალო მეთაურს. სამართალწარმოების დაწყებამდე, მეთაურმა უნდა გამოიძიოს ისინი (76-ე მუხლი).

27. გამოძიების შემდგომ, ბრალდება, (რომლის განხილვაც გამარტივებული წესით დაუშვებელია), შეიძლება მოიხსნას, თუ მეთაური თვლის, რომ სამართალწარმოების გაგრძელება საჭირო არ არის.

#### 2. 1972 წლის შინაგანაწესი

29. 1972 წლის შინაგანაწესის მე-4 წესი ადგენს, რომ როდესაც პირი დაკავებულია სამხედრო უწყების მიერ, მისმა მეთაურმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მიზანშეწონილი არ არის, 48 საათში იმ მომენტიდან, როდესაც მან შეიტყო პირის დაკავების შესახებ, უნდა უზრუნველყოს, რომ ეს პირი წარადგინონ მის წინაშე, გააცნოს მის ჰმართ წაყენებული ბრალი და დაიწყოს საქმის გამოძიება. თუ გამოძიება არ დაიწყო 48 საათის განმავლობაში, მეთაურმა საქმის მდგომარეობის შესახებ უნდა მოახსენოს ზემდგომ პირს, ასევე უნდა მოახსენოს გამოძიების დაყოვნების მიზეზები (მე-4 წესის მე-2 პუნქტი).

31. დაუშვებელია ბრალდებული პირის დაპატიმრება ზედიზედ, 72 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში სამხედრო სასამართლოს მიერ მისი საქმის განუხილველად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხდომის

მომწვევი სასამართლო მოხელე გამოიტანს მოტივირებულ წერილობით დადგენილებას ბრალდებულის პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ (მე-6 წესი).

32. მე-10 წესის პირველი პუნქტი ადგენს, რომ მტკიცებულებების ჩამონათვალს ადგენს დაკავებულის მეთაური ან მეთაურის მიერ დანიშნული სხვა ოფიცირო.

33. ბრალდებულის ჩვენება, (მათ შორის, დაცვის მხარის მიერ გამოძახებული მოწმეების ჩვენებები) უნდა დაერთოს მტკიცებულებების ჩამონათვალს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი (მე-10 წესის მე-4 პუნქტი).

34. სასამართლო განხილვისთვის საქმის გადაგზავნამდე მეთაურმა, სხვა ღონისძიებათა შორის, მე-13 წესის თანახმად, ზემდგომ ორგანოს უნდა გაუგზავნოს მის მიერ ხელმოწერილი საბრალდებო დასკვნის პროექტი, მტკიცებულებების ჩამონათვალი, ბრალდებულის დახასიათება, ინფორმაცია მისი ყოფაქცევის შესახებ სამხედრო სამსახურის პერიოდში და რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სამართალწარმოება (მაგალითად, რაიონულ სამხედრო, თუ საერთო სამხედრო სასამართლოში). ბრალდებათა მხარდაჭერის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სხდომის მომწვევი სასამართლო მოხელე. ის ხელმოწერით ადასტურებს მეთაურის მიერ წარმოდგენილ საბრალდებო დასკვნის პროექტს.

### 3. დედოფლის დადგენილება

35. დედოფლის დადგენილების 6.005 პუნქტის თანახმად, პირი უნდა მოთავსდეს ჩაკეტილ პატიმრობაში, თუ ეს ღონისძიება აუცილებელია დაკავების პერიოდში ამ პირის უსაფრთხოებისა ან დისციპლინის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

37. პუნქტი 6.007 ადგენს, (*inter alia*, იმ ზოგადი პირობის დაცვით, რომ პირი ტყუილუბრალოდ არ უნდა დააკავონ), რომ მეთაური ვალდებულია უზრუნველყოს, რომ პირის პატიმრობის პერიოდში, პატიმრობის ფორმის გათვალისწინებით, პატიმრობის საკითხი მუდმივად გადახედვას ექვემდებარებოდეს. საჭიროების მიხედვით, პატიმრობის ფორმა შეიძლება შეიცვალოს ან ბრალდებული შეიძლება გათავისუფლდეს.

38. 6.045(c) პუნქტის თანახმად, პირმა, რომლის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება ბრალდებული, ბრალდებულს უნდა აცნობოს იმ პირის სამხედრო წოდება, სახელი და სამსახურის ნაწილი, რომელიც მას ბრალს უყენებს, აგრეთვე ბრალდების შინაარსი და ხასიათი. პუნქტი 6.047 ადგენს, რომ ოფიცირის ან რიგითის მიმართ წაყენებული ბრალდება განხილულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ. შესაბამისად, დადგენილია, *inter alia*, რომ სხდომის მომწვევი სასამართლო მოხელე სასამართლო განხილვის დაყოვნების შესახებ ყოველი პატაკის მიღებისას უნდა დარწმუნდეს (თუ პირი დაპატიმრებულია), რომ პატიმრობის გაგრძელება მიზანშეწონილია (ქვეპუნქტები a და b). მეოთხე პატაკის მიღებისას სხდომის მომწვევი მოხელე თავის ზემდგომ სამხედრო მოსამსახურეს უგზავნის სპეციალურ პატაკს, რომელშიც მითითებულია სასამართლო განხილვის დაყოვნების მიზეზები, სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღი და პატიმრობის ვადის გაგრძელების საჭიროების მიზეზები (ქვეპუნქტი c). თუ ბრალდებულის საქმის განხილვა არ მოხდება 72-ე დღემდე, ეს ზემდგომი სამხედრო მოსამსახურე, თავის მხრივ, სპეციალურ პატაკს უგზავნის უმაღლეს მთავარსარდალს (ქვეპუნქტი d). ასეთი პატაკის მიღების შემდეგ აღნიშნული ზემდგომი სამხედრო მოსამსახურე და უმაღლესი მთავარსარდალი იღებენ ყველა შესაძლო ზომას სასამართლო განხილვის დასაჩქარებლად (ქვეპუნქტი e).

39. თუ ბრალდებული პატიმრობაში იმყოფება ზედიზედ 72 დღის განმავლობაში სასამართლო განხილვის ჩატარების გარეშე, მაშინ, 1972 წლის შინაგანაწესის მე-5 წესის თანახმად, დადგენილება პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ უმაღლესი მთავარსარდალის წინასწარი თანხმობით. პატაკში მითითებული უნდა იყოს სასამართლო განხილვის დაყოვნების მიზეზები, სასამართლო სხდომის ჩატარების თარიღი და პატიმრობის ვადის გაგრძელების საჭიროების მიზეზები (პუნქტი 6.047(f)). დაყოვნების პატაკი, როგორც წესი, ბრალდებულს ან მის წამომადგენელს არ ეგზაგნება.

### C. *Habeas corpus*

40. *Habeas corpus* არის პროცედურა, რომლის საფუძველზეც დაკავებულს შეუძლია მოითხოვოს დაუყოვნებლივ გათავისუფლება იმ მოტივით, რომ იგი უკანონოდ არის დაკავებული. როგორც წესი, ამ შემთხვევაში საქმე უმაღლესი სასამართლოს განსჯადია. *habeas corpus*-ის საფუძველზე საქმის აღმდებრის უფლება აქვს სამხედრო მოსამსახურესაც.

### D. იურიდიული დახმარება

42. სამხედრო ხელისუფლება იურიდიული დახმარებით არ უზრუნველყოფს პირებს, რომლებიც განცხადებით მიმართავენ სამოქალაქო სასამართლოს, აგრეთვე მათ, ვინც წარმოებას აღძრავს *habeas corpus*-ის საფუძველზე. თუმცა, ასეთი წარმოების შემთხვევაში, სამართლებრივი დახმარების მიღება შესაძლებელია სამოქალაქო სტრუქტურებიდან.

### E. სამხედრო სასამართლოები

43. 1955 წლის კანონის მიხედვით, სამხედრო სასამართლოების სისტემაში მთავარი როლი ენიჭება “სასამართლო სხდომის მომწვევ მოხელეს”. ეს მოხელე, (რომელსაც უნდა ჰქონდეს კანონით დადგენილი წოდება და მეთაურობდეს რეგულარული ძალების ქვედანაყოფს ან ქვედანაყოფს, რომელშიც მსახურობს ბრალდებული), პასუხისმგებელია სამხედრო სასამართლოს ყოველ საქმეზე. იგი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ბრალდების შინაარსსა და ხასიათზე და იმის შესახებ, თუ რომელმა სამხედრო სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე. იგივე მოხელე პასუხისმგებელია სამხედრო სასამართლოს სხდომის მომწვევაზეც.

სხდომის დაწყებამდე სხდომის მომწვევმა მოხელემ პროკურორსა და მოსამართლეს უნდა გაუგზავნოს მტკიცებულებების ჩამონათვალი და შეუძლია მიუთითოს, რომელი მტკიცებულება შეიძლება იყოს დაუშვებელი. სხდომის მომწვევი მოხელე უზრუნველყოფს ბრალდების მხარის მოწმეთა დასწრებას სასამართლო სხდომაზე. იგივე მოხელეს გააჩნია დამტკიცების უფლებამოსილებაც. კერძოდ, სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ სხდომის მომწვევი მოხელის მიერ გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ. სხდომის მომწვევ მოხელეს, მოქმედებს რა დამტკიცების უფლებამოსილებით, შეუძლია ასევე უარი თქვას დამტკიცებაზე, გააუქმოს ან მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვალოს შეფარდებული სასჯელი.

### საქმის წარმოება კომისიაში

47. 1997 წლის 1 დეკემბერს კომისიამ მიუღებლად მიიჩნია მომჩინანის საჩივარი 1994 წლის 27 ნოემბრამდე მის პატიმრობაში ყოფნასთან დაკავშირებით, ხოლო, საჩივრის დანარჩენი ნაწილი მისაღებად მიიჩნია. 1998 წლის 28 მაისის მოხსენებაში, კომისიამ გამოთქვა ერთსულოვანი მოსაზრება, რომ დარღვეულია მე-5 მუხლის მე-3 და მე-5, მაგრამ არა მე-4 პუნქტი, აგრეთვე ის, რომ საჭირო არ იყო საჩივრის განხილვა 13-ე მუხლთან მიმართებაში. კომისიამ გამოთქვა, ასევე ერთსულოვანი მოსაზრება იმის შესახებ, რომ დარღვეულია მე-6 მუხლის პირველი პუნქტი სამართლიანობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნების თვალსაზრისით, მაგრამ დარღვევას ადგილი არ ჰქონია წარმოების საჯაროობასთან დაკავშირებით და, რომ საჭირო არ იყო მომჩინანის მოთხოვნების განხილვა მე-6 მუხლის პირველ და მესამე პუნქტებთან მიმართებაში.

### სამართლებრივი მხარე

#### I. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი სავარაუდო დარღვევა

50. მომჩივანის განცხადებით, მისი წინასწარი პატიმრობა არ შეესაბამებოდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის თანახმად:

“...”

A. გამოიყენება თუ არა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი

51. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების საკითხი, ხოლო, სასამართლოს მიაჩნია, რომ აშკარაა, რომ ეს დებულება მოცემულ საქმეზე გამოიყენება. ბრალდებულის ხასიათისა და შეფარდებული სასჯელის გათვალისწინებით, მომჩივანი დაკავეს საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე, რომ მან ჩაიდინა “დანაშაული”, რაზეც საუბარია მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტში (იხ. მაგალითად, 1984 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე De Jong, Baljet and Van den Brink v. the Netherlands, Series A no. 77, გვ. 21-22, § 42-44). გარდა ამისა, მომჩივანის ჩაკეტილ პატიმრობაში ყოფნა, როდესაც იგი იმყოფებოდა საკანში გუშაგის ზედამხედველობის ქვეშ, უთანაბრდება დაკავებას კონვენციის მიზნებს (იხ. 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Engel and Others v. the Netherlands, Series A no. 22, გვ. 26, § 63).

B. შესრულდა თუ არა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მოთხოვნები

52. მომჩივანმა სასამართლოს განცხადა, რომ იგი მეთაურთან არ მიუკვანიათ 1994 წლის 29 ნოემბერს, როგორც ამას მოითხოვდა 1972 წლის შინაგანაწესის მე-4 წესი (იხ. პუნქტი 29 ზემოთ), რადგან იგი ვერ იხსენებდა ასეთ ფაქტს და მის დღიურშიც ან სხვა წერილობით დოკუმენტში ამის შესახებ აღნიშნული არ იყო. მეორე მხრივ, მომჩივანი აცხადებდა, რომ მეთაურს მისთვის რომც მოესმინა, 1972 წლის შინაგანაწესის მე-4 წესის მიხედვით, ის ვერ ჩაითვლებოდა მიუკერძოებელ პირად, რადგან მეთაურს გარკვეული დამატებითი ფუნქციები პქნდა სისხლისამართლებრივი დევნის სტადიებზე და თვითონვე იყო პასუხისმგებელი დისციპლინისა და წესრიგის შენარჩუნებაზე. ამავე კონტექსტში მომჩივანმა მიუთითა მეთაურის მიერ იურიდიული განათლების არქონაზე.

53. დაბოლოს მომჩივანი ამტკიცებდა, რომ შინაგანაწესის მე-4 წესი არ იყო სრულყოფილი სხვა მიზეზთა გამოც, მაგალითად, ის არ ითვალისწინებს ფაქტების წერილობით აღრიცხვას, იმას, რომ ბრალდებულს შეატყობინონ წინასწარ პატიმრობაში მოთავსების მიზეზები და, რომ ბრალდებულს შეეძლოს წინასწარი პატიმრობის ღონისძიების გასაჩივრება.

54. კომისიამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მომჩივანი სადავოდ არ ხდიდა, რომ იგი მეთაურს წარუდგინეს 1994 წლის 29 ნოემბერს, თანახმად 1972 წლის შინაგანაწესის მე-4 წესისა. მაგრამ დაეთანხმა რა მომჩივანს, რომ მეთაურის მიუკერძოებლობა შეიძლება საეჭვო ყოფილიყო მისი უფლებამოსილებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, კომისიამ დასკვნა, რომ დარღვეულია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი. ამ დასკვნის გათვალისწინებით, კომისიამ საჭიროდ აღარ მიიჩნია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტან დაკავშირებით მომჩივანის სხვა მოთხოვნების განხილვა.

55. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანს მე-4 წესის შესაბამისად ნამდვილად მოუსმინეს 1994 წლის 29 ნოემბერს და აღნიშნა, რომ მომჩივანს კომისიის წინაშე არც ეს ფაქტი გაუხდია სადავოდ და არც უმაღლეს სასამართლოში მის მიერ habeas corpus-ის საფუძველზე შეტანილ განცხადებაში გაუმახვილებია ამაზე ყურადღება. მთავრობამ გაიზიარა კომისიის დასკვნა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის შესახებ და გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭირო აღარ იყო ამ მუხლთან დაკავშირებით მომჩივანის სხვა მოთხოვნების განხილვა.

56. რაც შეეხება მხარეთა ფაქტობრივ დავას იმის თაობაზე, 1994 წლის 29 ნოემბერს წარუდგინეს თუ არა მომჩივანი მეთაურს 1972 წლის შინაგანაწესის შესაბამისად, სასამართლოს მთავრობის განცხადება დამაჯერებლად მიაჩნია. მომჩივანს შეეძლო ამ საკითხის დაყენება კომისიაში მას შემდეგ, რაც კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმის დასაშვებობის შესახებ, მაგრამ ის ასე არ მოქცეულა. გარდა ამისა, 1972 წლის შინაგანაწესის მე-4 წესის დარღვევა ექცეოდა habeas corpus-ის საფუძველზე სამართალწარმოების სფეროში. მომჩივანს არაფერი უთქვაშს ამ დარღვევის შესახებ, როდესაც მან შეიტანა საჩივარი habeas corpus-ის საფუძველზე, რომლის დროსაც ასაჩივრებდა შიდა

კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს და რომლის დროსაც მას იგივე წარმომადგენელი ჰყავდა, რომელიც ახლა ამ სასამართლოში (იხ. პუნქტი 18 ზემოთ). ამ გარემოებებში, სასამართლო მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დაკავშირებულ მოთხოვნას განიხილავს იმ ვარაუდით, რომ მომჩივანი მეთაურს წარუდინეს 1994 წლის 29 ნოემბერს 1972 წლის შინაგანაწესის მე-4 წესის შესაბამისად.

**57.** რაც შეეხება მომჩივანის განცხადებას მეთაურის მიუკერძოებლობის შესახებ მე-4 წესით გათვალისწინებული მოსმენის კონტექსტში, კონვენციის ორგანოების პრეცედენტული სამართლის თანახმად, თუ წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ჩანს, რომ “კანონით უფლებამოსილი სასამართლო ხელისუფლების სხვა წარმომადგენელი” ვალდებული იქნება წარმოების შემდგომ ეტაპზე მონაწილეობა მიიღოს პროკურატურის წარმომადგენლის სახით, მაშინ ის წინასწარი წარმოების ეტაპზე არ ჩაითვლება მხარეებისაგან დამოუკიდებელ პირად, რადგან შემდგომ შეიძლება თვითონ გახდეს სამართალწარმოების მხარე (იხ. 1990 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე **Huber v. Switzerland, Series A no. 188**, გვ. 18, §§ 42-43, და 1992 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე **Brincat v. Italy, Series A no. 249-A**, გვ. 11-12, §§ 20-21).

სასამართლომ მხედველობაში მიიღო მეთაურის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც აღნიშნულია 23-ე, 27-ე, 28-ე, 32-ე და 34-ე პუნქტებში ზემოთ, რომლებიც ამოქმედდებოდა 1972 წლის შინაგანაწესის მე-4 წესის შესაბამისად მომჩივანის მოსმენის შემდგებ. აქედან გამომდინარე, მეთაურს სისხლისამართლებრივი დევნის შემდგომ ეტაპზე არსებითი როლი უნდა შეესრულებინა. მართალია, ნაწილის ადიუტანტი ხშირად ასრულებს მეთაურის ზოგიერთ ფუნქციას, (და ამ კონკრეტულ საქმეზე ასეც მოხდა), აშკარაა, რომ ადიუტანტი ამ ფუნქციებს ასრულებს მეთაურის სახელით, რომელსაც იგი პირდაპირ ექვემდებარება წოდებრივად. გარდა ამისა, სამხედრო სასამართლოს სხდომაზე მოსამართლემ დაადასტურა, რომ ნაწილის ადიუტანტი, როგორც წესი, სახელდება როგორც პროკურორისა ან მისი თანაშემწის ფუნქციების შემსრულებელი. ამ კონკრეტულ საქმეზეც მან ეს ფუნქციები განახორციელა.

ამ გარემოებებში, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივანის ეჭვი მისი მეთაურის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, ობიექტურად გამართლებულია.

**58.** სასამართლოს, ისევე როგორც, კომისიას, მიაჩნია, რომ მეთაურის იმავდროული პასუხისმგებლობა დისციპლინისა და წესრიგის შენარჩუნებაზე წარმოადგენს კიდევ ერთ საფუძველს ბრალდებულისთვის, ეჭვი შეეპაროს მის მიუკერძოებლობაში მის დაქვემდებარებაში მყოფი ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ამ მოსაზრებას აძლიერებს დედოფლის დადგენილების პუნქტი № 6.005 (იხ. პუნქტი 36 ზემოთ), რომელიც მეთაურს უფლებას ანიჭებს, უარი თქვას დროებით გათავისუფლებაზე, თუ იგი თვლის, რომ ბრალდებულის გათავისუფლება ზოგადად ან მისი ურთიერთობა სხვა სამხედრო მოსამსახურეებთან არასასურველია “დისციპლინის ინტერესებისთვის”.

**59.** აღნიშნული დასკვნა აუცილებელს აღარ ხდის, გამოკვლეულ იქნეს მომჩივანის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მეთაურს არ გააჩნია სათანადო იურიდიული კვალიფიკაცია.

**60.** დაბოლოს, მე-4 წესის სხვა არადამაკაყოფილებელი ასპექტების შესახებ მომჩივანის განცხადებასთან დაკავშირებით, მთავრობამ განაცხადა, რომ მე-4 წესით გათვალისწინებული პროცედურა მომჩივანს აძლევდა “შესაძლებლობას”, მისთვის მოესმინათ და მეთაურს ეცნობებინა მისი დაპატიმრების მიზეზების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საპროცესო და მატერიალურ მოთხოვნებს, რომლებიც “სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელს” ავალებს, პირადად მოუსმინოს ბრალდებულს, გამოიკვლიოს წინასწარი პატიმრობის შეფარდების მხარდამჭერი და საწინააღმდეგო ყველა გარემოება და წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილებაში მიუთითოს ის გარემოებები, რომლებსაც იგი დაეყრდნო ამ გადაწყვეტილების მიღებისას (იხ. 1979 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე **Schiesser v. Switzerland, Series A no. 34**, გვ. 13-14, § 31, და 1991 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე **Letellier v. France, Series A no. 207**, გვ. 18, § 35). იმის დადგენისას, პიროვნების თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების

შიდასამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებს თუ არა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, სასამართლომ, თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე - **Duinhof and Duijf v. the Netherlands** - აღნიშნა გავრცელებულ პრაქტიკასთან შედარებით “კანონით დადგენილი ფორმალური, აშკარა მოთხოვნების” უპირატესი მნიშვნელობა (1984 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, **Series A no. 79**, გვ. 15, § 34).

მაგრამ ზემოთ, 57-ე და 58-ე პუნქტებში აღნიშნული დასკვნის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ საჭირო აღარ არის ამ დამატებითი სასარჩელო მოთხოვნის განხილვა.

61. ამიტომ, სასამართლო ადგენს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, რადგან ასეთ გარემოებებში მეთაური არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო მხარეებისაგან დამოუკიდებლად.

## II. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა

2. მომჩივანმა განაცხადა, რომ **habeas corpus**-ის საფუძველზე სამართალწარმოების შემთხვევაში სამხედრო ხელისუფლება არ უზრუნველყოფდა იურიდიულ დახმარებას და, რადგან მას არ ჰყავდა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, ვერც სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებიდან მიიღებდა დახმარებას. ამიტომ, მომჩივანის თქმით, დაირღვა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად:

“....”

63. კომისიამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ სამხედრო მოსამსახურებს ჰქონდათ ასეთი სახის სამართალწარმოებისას სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებიდან იურიდიული დახმარების მიღების უფლება (მათ შორის, სასწრაფო იურიდიული დახმარებისა), და მომჩივანს ფაქტობრივად ჰყავდა წარმომადგენელი 1994 წლის შობის დღესასწაულამდე პერიოდიდან 1995 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე და შემდგომ, მეორე წარმომადგენელი აიყვანა 1995 წლის თებერვლის დასაწყისიდან და ამჟამადაც ამ სასამართლოშიც იყო იცავს მის ინტერესებს. ამიტომ კომისიამ დაასკრნა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ დარღვეულა.

64. მთავრობა დაეთანხმა კომისიის დასკრნას და სასამართლოში საქმის მოსმენისას დაადასტურა, რომ მომჩივანს შეეძლო მიემართა სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებისთვის სამართლებრივი დახმარების თხოვნით, მაგრამ ის ასე არ მოქცეულა.

65. სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანმა არ გამოიყენა სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებიდან სამართლებრივი დახმარების მოთხოვნის შესაძლებლობა (იხ. პუნქტები 42 და 43 ზემოთ) და აღნიშნა, რომ მომჩივანი წინასწარი პატიმრობის პერიოდის უდიდეს ნაწილში ფაქტობრივად ორი ადვოკატით იყო წარმოლდგენილი, მათ შორის, **habeas corpus**-ის საფუძველზე, სამართალწარმოების დროსაც. ამ გარემოებებში, მომჩივანმა ვერ დაასბუთა, რომ მას ხელი არ მიუწვდებოდა ისეთ გარანტიებზე, რომლებიც პროპორციული იყო მისი თავისუფლების აღკვეთის ხასიათისა (იხ., მაგალითად, 1992 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე **Megyeri v. Germany, Series A no. 237-A**, გვ. 11-12, § 22).

66. აქედან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ არ დარღვეულა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

## III. კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

68. თავად მომჩივანს, კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტზე სასამართლოს წინაშე საქმის განხილვისას არ მიუთითებია. კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ დარღვეულია მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი, რაც მთავრობას სასამართლოს წინაშე არ გაუპროტესტებია.

3. რადგან სასამართლო დაადგინა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა (იხ. პუნქტი 61 ზემოთ) და მთავრობამ დაადასტურა, რომ მომჩივანს რეალურად არ ჰქონდა სასამართლოს ძალით აღსრულებადი უფლება დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა, სასამართლოს სხვა არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ დარღვეულია მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი (იხ. მაგალითად 1988

წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Brogan and Others v. the United Kingdom, Series A no. 145-B, გვ. 35, § 67).

#### IV. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების სავარაუდო დარღვევა

73. მომჩივანმა განაცხადა, რომ სამხედრო სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვა არ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მესამე პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:

“...”

74. სასამართლოში მომჩივანმა ძირითადად გაასაჩივრა სამხედრო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხი.

კომისიამ მიიჩნია, რომ მომჩივანის საქმე არ განხილულა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

გათვალისწინა რა სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოხსენებულ Findlay-ის საქმეზე (გვ. 279-83, §§ 68-80) და საქმეზე Coyne v. the United Kingdom (1997 წლის 24 სექტემბერი, *Reports of Judgments and Decisions* 1997-V, გვ. 1854-55, §§ 54-58), მთავრობამ არ გააპროტესტა კომისიის დასკვნა.

75. გარდა ამისა, მომჩივანმა განაცხადა, რომ სამხედრო სასამართლო არ იყო “კანონის საფუძველზე შექმნილი” სასამართლო. შემდეგ, მან მე-6 მუხლის პირველი და მე-3(с) პუნქტების საფუძველზე გააპროტესტა სამხედრო ხელისუფლების სისტემაში იურიდიული დახმარების უკმარისობა და აღნიშნა, რომ ის არ წარუდგენდა თავის და თავისი მეგობარი გოგონას ჩვენებებს ნაწილის ადიუტანტს, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, იურიდიული წარმომადგენლობის მოპოვება.

კომისიამ საჭიროდ არ ჩათვალა ამ საჩივრების განხილვა.

მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივანმა მიიღო იურიდიული დახმარება სამხედრო ხელისუფლების ორგანოებიდან და სამხედრო სასამართლომ უარი თქვა ჩვენებებთან დაკავშირებით მომჩივანის მიერ გამოთქმული პროცესტის დაკმაყოფილებაზე. ამიტომ მთავრობამ განაცხადა, რომ სასამართლო უნდა დათანხმებოდა კომისიას.

76. სასამართლო აღნიშნავს, რომ Findlay-ის საქმეზე მან დაასკვნა, რომ სამხედრო ძალების შესახებ 1955 წლის კანონის საფუძველზე მოწვეული საერთო სამხედრო სასამართლო არ აკმაყოფილებს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, ძირითადად იმის გამო, რომ სხდომის მომწვევი მოხელე ასრულებს მთავარ როლს სისხლისამართლებრივ დევნაში, ის მჭიდროდ არის დაკავშირებული პროკურატურის ორგანოებთან, სამხედრო სასამართლოს სხვა წევრებთან შედარებით აქვს მაღალი წოდება და უფლებამოსილია, გარკვეულ შემთხვევებში, დაშალოს სამხედრო სასამართლო და უარი თქვას სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დამტკიცებაზე (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება Findlay-ის საქმეზე, გვ. 279-83, §§ 68-80, აგრეთვე პუნქტი 45 ზემოთ). ზემოხსენებულ Coyne-ს საქმეზე სასამართლო იგივე დასკვნამდე მივიდა საოლქო სამხედრო სასამართლოსთან მიმართებაში, რომელიც მოწვეული იყო სამხედრო ძალების შესახებ 1955 წლის კანონის საფუძველზე.

77. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე განსხვავებას წინამდებარე საქმესა და ზემოხსენებულ Findlay-სა და Coyne-ს საქმეებს შორის იმ ნაწილში, რაც ეხება სამხედრო სასამართლოს ორგანიზაციაში სხდომის მომწვევი მოხელის როლს. აქედან გამომდინარე, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული Findlay-ის საქმეზე, მომჩივანის საქმის განმხილველი სამხედრო სასამართლო არ იყო “დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი” მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით.

78. ისევე როგორც, Findlay-ის საქმეზე (გვ. 283, პუნქტი 80), სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით მომჩივანის საჩივრის ცალკე განხილვას, რომ სამხედრო სასამართლო არ იყო “კანონის საფუძველზე შექმნილი”. ზემოხსენებული

გადაწყვეტილებებისა და ამ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კერძოდ, რომ მომჩივანმა ჩვენებები წარმოადგინა იურიდიული რჩევიდან გამომდინარე, სასამართლო იგივე დასკვნამდე მიღის მომჩივანის იმ მოთხოვნასთან მიმართებაში, რომ სამხედრო ხელისუფლების სისტემა არ უზრუნველყოფდა საკმარის იურიდიულ დახმარებას.

79. ამიტომ, სასამართლო ადგენს, რომ დარღვეულია მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რადგან სამხედრო სასამართლო არ აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს.

#### აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, სასამართლო

1. ერთსულოვნად აცხადებს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი;
2. ერთსულოვნად აცხადებს, რომ არ არის დარღვეული მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი;
3. ერთსულოვნად აცხადებს, რომ დარღვეულია მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი;
4. ერთსულოვნად აცხადებს, რომ საჭირო არ არის საქმის განხილვა კონვენციის მე-13 მუხლთან მიმართებაში;
5. ერთსულოვნად აცხადებს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი;
6. თექვსმეტი წმით ერთის წინააღმდეგ, აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილება თავისთავად წარმოადგენს მომჩივანისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას;
7. ერთსულოვნად აცხადებს, რომ
  - (a) მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივანს სამი თვის ვადაში გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად უნდა გადაუხადოს 10 500 ფუნტი სტერლინგი, მათ შორის დამატებითი ლირებულების თუ სხვა გადასახადი, რომელიც შეიძლება დაერიცხოს აღნიშნულ თანხას;
  - (b) ზემოაღნიშნული სამთვიანი ვადის გადაცილების შემთხვევაში თანხა გაიზრდება წლიური 7.5 პროცენტით ანგარიშის საბოლოო გასწორებამდე;
8. ერთსულოვნად არ აკმაყოფილებს სხვა მოთხოვნებს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.